

## ქალები და გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკი

მითი იმის შესახებ, რომ გულის კორონარული დაავადება „მამაკაცთა დაავადებაა“, გაქარწყლდა და ყოველწლიურად მსოფლიოში 9,1 მილიონი ქალი იღუპება გულის კორონარული დაავადებითა და ინსულტით, უფრო მეტი, ვიდრე კიბოთი, ტუბერკულოზით, აივ/შიდსით და მალარიით ერთად.

გულის კორონარული დაავადება და ინსულტი -- პრევენტაბელური ანუ თავიდან აცილებადია - ესაა ძირითადი და პოზიტიური გზავნილი.

იმის გამო, რომ ქალებში ამ დაავადებათა სიმპტომატიკა, მიმდინარეობა და ა.შ. სპეციფიურია, ხშირად ისინი არადიაგნოსტირებული და არანამკურნალებია.

45 წელზე უფროს ქალბატონებში 50%-ზე მეტი და 65 წელს გადაცილებულ ქალბატონთა 75%-ზე მეტ შემთხვევაში გვხვდება არტერიული ჰიპერტენზია (მომატებული არტერიული წნევა) -- მთავარი რისკის ფაქტორი სისხლძარღვოვანი გართულებების განვითარებისა. ქალებში იგი იწვევს ინსულტის განვითარებას დაახლოებით 70%-ში.

საქართველოში ჩატარებული კვლევების მიხედვით, რეპროდუქციული ასაკის ქალების სიკვდილის მიზეზი 12%-ში გულ-სისხლძარღვთა დაავადებებია, უხშირესად ჰემორაგიული ინსულტი, არაეფექტურად ნამკურნალები ჰიპერტენზიის ფონზე.

არტერიული ჰიპერტენზია ქრონიკული დაავადებაა, რომელიც საჭიროებს რეგულარულ სამედიცინო დაკვირვებას ხანგრძლივი მკურნალობის პროცესში. ვინაიდან ჰიპერტენზიის მთავარი საშიშროება მის არადროულ, არაეფექტურ და არამუდმივ მკურნალობაშია, ხშირი გართულებების მიზეზი, სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძებოთ.

დაავადების პროგნოზი ბევრადაა დამოკიდებული მისი გამოვლენის დროულობაზე, აქედან გამომდინარე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა და მისი რისკ-ფაქტორების გამოვლენა, ხშირად უსიმპტომო პირებში არის გარანტია ამ დიაგნოზით გართულებების გარეშე ცხოვრებისა.

2011 წლის გულის მსოფლიო დღის აღნიშვნას ქ.ბათუმში მიეძღვნა აქცია ქალებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკის გამოვლენის მიზნით.

გამოკვლევულ ქალთა მესამედზე მეტს აქვს მომატებული არტერიული წნევა, რომელთა დაახლოებით 15%-ში ეს მდგომარეობა პირველად დაფიქსირებული. ხშირია ამ ჯგუფის ქალებში ჭარბი წონა, სუფრის მარილის ჭარბი მოხმარება და ა.შ.

რაც შეეხება ჰიპერტენზიის მკურნალობას, აღმოჩნდა რომ მომატებული წნევის მქონე პირების უმრავლესობა მკურნალობს არაეფექტურად და ვერ აღწევს ე.წ. სამიზნე წნევას.

აღნიშნული დეფექტი ქრონიკული დაავადებების მკურნალობისას არის რისკი ხშირი გამწვავებებით დაუგეგმავი ჰოსპიტალიზაციისა და აქედან გამომდინარე, გაუთვალისწინებელი ხარჯებისა.

გამოვლენილი რისკის ფაქტორების თუ ნაადრევ ეტაპზე დიაგნოსტირებული დაავადების მხოლოდ სწორი შეფასება და შემდგომი მონიტორინგი არის გართულებათა თავიდან აცილების ეფექტური საშუალება.

საქართველოს ჰიპერტენზიის შემსწავლელი საზოგადოების და ქ.ბათუმის კლინიკა „კარდიოსერვისი XXI“-ის ექიმ-კარდიოლოგთა სამუშაო ჯგუფი.